ევროკავშირი
საქართველოსთვის
ადამიანის უფლებები ყველასათვის

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

unicef
for every child

თანასწორი ურთიერთობები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან

პუბლიკაცია მომზადდა გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ანტი-სტიგმა კამპანია „დაინახე ყველაფერი“-ს ფარგლებში.

© გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017 წელი

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ გაეროს ბავშვთა ფონდი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის ან აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სოციალური ცვლილებებისკენ მიმართული საკომუნიკაციო კამპანია „დაინახე ყველაფერი“ გაეროს ბავშვთა ფონდის ინიციატივით და ევროკავშირისა და ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერითა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მათი მშობლების აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს. კამპანია მიზნად ისახავს საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

#დაინახე ყველაფერი

კომიქსებში ნაჩვენები სიტუაციები ასახავს შეზღუდული
შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ
სტერეოტიპულ ქცევებს და ამ ქცევების
მისაღებ ალტერნატივას

ვისაუბროთ თანასწორად

ნუ გექნებათ კომუნიკაცია ეტლის მომხმარებელ ადამიანთან განსხვავებული სიმაღლიდან (მაგ. თავზე დადგომა).

ვისაუბროთ თანასწორად

ეტლით ან ყავარჯნებით მოსარგებლე ადამიანთან საუბრისას ისე განთავსდით, რომ თქვენი თვალები ერთ დონეზე იყოს.



თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა

ნუ მოაწყობთ დაგეგმილ ღონისძიებასა თუ შეხვედრას ისეთ სივრცეში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს შეეზღუდება მონაწილეობის მიღების საშუალება, მისთვის არაადაპტირებული გარემოს გამო.

თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა

ნებისმიერი შეხვედრის თუ საჯარო ღონისძიების მოწყობისას გაარკვიეთ, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შენობა ეტლის, ყავარჯნის ან ხელჯოხის მომხმარებელი პირისთვის და არჩევანი გააკეთეთ ხელმისაწვდომობის სასარგებლოდ.

გარემოში არსებულ ბარიერებთან ბრძოლა

ნუ შეეცდებით გარემო ბარიერების შემცირებას მხოლოდ ფიზიკური დახმარების საშუალებით.

გარემოში არსებულ ბარიერებთან ბრძოლა

თავდაპირველად გაითვალისწინეთ, თუ როგორ შეიძლება ბარიერებისგან გათავისუფლება ისე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, რომელიც არ იქნება მისთვის ღირსების შემლახავი, შეძლოს გადაადგილება და მონაწილეობა (მაგ. მობილური პანდუსის მოწყობა, ლიფტიანი შენობის მოძებნა).

„დახმარების“ იძულება

ნუ დაეხმარებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მისი მომართვის ან ნებართვის გარეშე.

„დახმარების“ იძულება

მხოლოდ პირის მიერ მომართვის ან მისგან ნებართვის აღების შემთხვევაში გაუწიეთ მას ფიზიკური დახმარება. პატივი ეცით მის დამოუკიდებლობასა და ავტონომიას.

უხერხულობის გადაფარვა

თუ არ იცით, როგორ დაამყაროთ ურთიერთობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან, ნუ ეცდებით უხერხულობის გადაფარვას ზედმეტი აქტიურობით.

უხერხულობის გადაფარვა

გულწრფელად უთხარით ადამიანს, რომ არ გაქვთ საკმარისი ინფორმაცია მასთან ურთიერთობის თავისებურების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სთხოვეთ, რომ აგიხსნათ.

პირადი სივრცის პატივისცემა

ნუ დაეყრდნობით ან შეეხებით უკითხავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ეტლს ან სხვა დამხმარე საშუალებებს.

პირადი სივრცის პატივისცემა

პატივი ეცით ადამიანის პირად სივრცეს. ეტლი და სხვა დამხმარე საშუალებები მისი პირადი სივრცის ნაწილია.

„მესამე პირში“ ურთიერთობა

ნუ ისაუბრებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის თანდასწრებით სხვასთან, იქნება ეს ოჯახის წევრი, მშობელი, მეგობარი თუ სხვა, მის შესახებ მესამე პირში.

„მესამე პირში“ ურთიერთობა

მიმართეთ უშუალოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს მასთან დაკავშირებულ საკითხებზე, საჭიროების შემთხვევაში კი, კომუნიკაციისთვის დახმარება სთხოვეთ მის თანმხლებ პირს.

ენის მოჩლექით საუბარი

ნუ ისაუბრებთ ზრდასრულ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან, როგორც ბავშვთან, ენის მოჩლექით.

ენის მოჩლექით საუბარი

ესაუბრეთ მას, როგორც თანასწორს, მისი პიროვნების და ღირსების პატივისცემით.

გადაწყვეტილების მის ნაცვლად მიღება

ნუ გადაწყვეტთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის კითხვის გარეშე, თუ რა შეიძლება მოსწონდეს და უყვარდეს მას.

#დაინახე ყველა ფერი

გადაწყვეტილების მის ნაცვლად მიღება

ჰკითხეთ მას და საჭიროების შემთხვევაში, მის თანმხლებ პირს, თუ რა მოსწონს და რა უყვარს (მაგ. საკვები, სათამაშო და სხვა).

განცალკევება, ჩართულობის ნაცლად

არ მოაწყოთ ისეთი ღონისძიებები, სადაც მხოლოდ შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირები მონაწილეობენ.

განცალკევება, ჩართულობის ნაცლად

დაგეგმეთ და განახორციელეთ ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ერთნაირად ხელმისაწვდომი და ინკლუზიური იქნება ყველა ადამიანისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვისაც.

საუბარი მის ნაცვლად

არ დაასრულოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ნაცვლად მისი წინადადებები, სიტყვები და მოსაზრებები.

საუბარი მის ნაცვლად

მოთმინებით დაელოდეთ, როდის დაასრულებს წინადადებას, ყურადღება მიაქციეთ კომუნიკაციის სხვა არხებს (ჟესტები, მიმიკა...) და გადაამოწმეთ მასთან, თუ რამდენად სწორად გესმით მისი ნათქვამი.

დიაგნოზისა და ზედმეტსახელების დაძახება

არ მოიხსენიოთ პირი მისი დიაგნოზით და ან დიაგნოზთან დაკავშირებული კნინობითი სახელით.

დიაგნოზისა და ზედმეტსახელების დაძახება

ყოველთვის მოიხსენიეთ პირი სახელითა და გვარით და არავითარ შემთხვევაში დიაგნოზით ან მის მდგომარეობასთან დაკავშირებული სხვა სახელით.

გაცნობა და საუბარი უსინათლო ან შეზღუდული მხედველობის მქონე პირთან

ნუ გაჩუმდებით უსინათლო ადამიანთან მიახლოებისას ან ურთიერთობისას. ნუ დაელოდებით მისი თანმხლები პირის მოსვლას.

გაცნობა და საუბარი უსინათლო ან შეზღუდული მხედველობის მქონე პირთან

წარადგინეთ თქვენი თავი სახელით და საჭიროების შემთხვევაში, სიტყვებით გამოხატეთ საუბრის განმავლობაში, ირგვლივ მიმდინარე ესა თუ ის მოვლენა ან მოქმედება (მაგ. ახალი თანამოსაუბრის შემოერთება).

უსინათლო ან მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთან ერთად გადაადგილება

ნუ გამოიჩენთ უსინათლო ან მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთან ერთად გადაადგილებისას ზედმეტ მზრუნველობას და ნურც უყურადღებოდ დატოვებთ მას.

უსინათლო ან მხედველობის შეზღუდვის მქონე პირთან ერთად გადაადგილება

ჰკითხეთ, ესაჭიროება თუ არა დახმარება გადაადგილებისას. თანხმობის შემთხვევაში, შესთავაზეთ მას გადაადგილება ხელკავის გამოყენებით ან აღუწერეთ ირგვლივ არსებული ბარიერები.

საკუთარი თავის წარდგენა და საუბარი ყრუ ან სმენის დაქვეითების მქონე პირთან

ნუ დაუდგებით ზურგით ყრუ და სმენის დაქვეითების მქონე პირს. ნუ მიაბრუნებთ სახეს მისგან საპირისპიროდ.

საკუთარი თავის წარდგენა და საუბარი ყრუ ან სმენის დაქვეითების მქონე პირთან

ყრუ ან სმენადაქვეითებულ პირთან ურთიერთობისას, ისაუბრეთ ნელა და გამოთქმით, რათა მან შეძლოს ტუჩების მოძრაობის წაკითხვა, თუ მას ეს სჭირდება. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ ჟესტები შესაბამისი საგნის აღსანიშნად.

#დაინახე
ყველაფერი

შემოგვიერთდი facebook გვერდზე